

კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები დევნილთა ხანგრძლივადიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით

კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტების შესახებ შექმნილი დოკუმენტის მთავარი მიზანია ყველა დევნილის შესაბამისი საცხოვრებელი უზრუნველყოფა. არც ერთი დევნილის საცხოვრებელი არ უნდა ჩამოუვარდებოდეს აღნიშნულ სტანდარტებს. ის საცხოვრებელი, რომელიც არ მოვა შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტთან, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ხანგრძლივადიანი თავშესაფარი დევნილისათვის.

სახელმძღვანელო პრინციპი გულისხმობს დევნილთა დარჩენას მათ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილსამყოფელში, თუ ეს მათი არჩევანიც იქნება, და მათ უზრუნველყოფას გრძელვადიანი საცხოვრებელით, რომელიც შეესაბამება დოკუმენტში მოცემულ სტანდარტებს.

იმ შემთხვევაში, თუ დევნილთა ოჯახების საცხოვრებელი პირობები აღნიშნულ სტანდარტებს არ შეესაბამება და მათი საცხოვრებელი ადგილების რეაბილიტაცია სტანდარტების მიხედვით შეუძლებელია, ალტერნატიული გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული მათი გრძელვადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფის მიზნით. გამონაკლისი ამ შემთხვევაში უნდა დაიშვას მხოლოდ მაშინ, როცა დევნილები საკუთარი ნებით და ინფორმირების შემდგომ უარს იტყვიან თავიანთ უფლებაზე ალტერნატიული საცხოვრებელით დაკმაყოფილების შესახებ და გამოთქვამენ სურვილს თავიანთ საცხოვრებელ ადგილსამყოფელში დარჩენაზე.

აღნიშნული სტანდარტები სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება:

- დევნილებისთვის ხანგრძლივადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ ინფორმირების თვალსაზრისით და როგორც ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მთავრობა და პარტნიორი ორგანიზაციები პასუხისმგებელნი იქნებიან დევნილთა სამოქმედო გეგმაში მითითებული ხანგრძლივადიანი საცხოვრებლის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების დროს ამ სტანდარტების გამოყენებაზე.
- საქართველოს მთავრობისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დევნილთა სამოქმედო გეგმაში მითითებული ხანგრძლივადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფის პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის პროცესში, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება ამით) შემდეგს:
 - o რეაბილიტაციის შეფასების ან არსებული კოლექტიური ცენტრების ხანგრძლივადიან საცხოვრებელ ადგილსამყოფელად ადაპტირების შესაძლებლობის შეფასებას და ამის შედეგად კოლექტიური ცენტრების კატეგორიზაციას.
 - o არსებული ცარიელი შენობების რეკონსტრუქციას დევნილთა ხანგრძლივადიან საცხოვრებლად.

- o ახალი, ხანგრძლივადიანი საცხოვრებლების აშენებას დევნილებისათვის.
- საქართველოს მთავრობისთვის და კონტრაქტორი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სამოქმედო გეგმაში მითითებულ რეაბილიტაციის, ადაპტაციის, რეკონსტრუქციის ან მშენებლობის პროექტებს.

სარეაბილიტაციო შენობებში (ახალი ან ცარიელი შენობებისგან განსხვავებით), ზოგიერთი ოჯახი იკავებს მეტ ფართს, ვიდრე ეს განსაზღვრულია სტანდარტების მიხედვით. იმ შემთხვევებში, როცა სხვადასხვა დევნილი ოჯახის მიერ დაკავებულ ფართებს შორის დიდი განსხვავება ფიქსირდება, და იმ შენობებში, სადაც ეს სივრცე საჭიროა დევნილთა სხვა ოჯახების განსახლებისათვის, გამჭვირვალე პროცესი უნდა დაიწყო, რომლის მეშვეობითაც დევნილები მიიღებენ სწორ/მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას ზემოთ აღნიშნული უსამართლობის აღმოფხვრის მიზნით.¹

განსახლების პროექტებში მონაწილე ორგანიზაციებმა (იქნება ეს სამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კონტრაქტორები თუ საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციები) უნდა უზრუნველყონ დევნილთა მონაწილეობა და ჩართვა დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სხვადასხვა შემთხვევების დროს (რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია ან მშენებლობა) შესაბამისი კონსულტაცია უნდა იქნას გაწეული.

ყველა შემთხვევაში, სამუშაოს შემსრულებელი პასუხისმგებელია (პირდაპირ ან მესამე მხარის მონაწილეობით) უზრუნველყოს მოსახლეობის დახმარება პროცედურულ საკითხებში, განავითაროს მათი შესაძლებლობები ზოგადი მოხმარების ფართებზე სარემონტო სამუშაოების შესრულების კუთხით და ნებისმიერი სისტემის შეკეთების კუთხით, რომელიც რეგულარულ რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას საჭიროებს.

იმ შემთხვევაში, როცა დევნილთა ოჯახში ცხოვრობს ერთი ან ერთზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრი, საცხოვრებლის დიზაინი (ზოგადი მოხმარების ფართების ჩათვლით) უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრებმა შეძლონ საცხოვრებელი ფართის გამოყენება და შენობა უნდა მოიცავდეს ისეთ დეტალებს, როგორცაა მცირე სიმაღლის საპირფარეშო და აბაზანა, განიერი კარები, ინვალიდის ეტლისთვის გადასაადგილებელი პანდუსები და ა. შ. იქ, სადაც ამის განხორციელება ტექნიკურად შეუძლებელია, ალტერნატიული ხანგრძლივადიანი საცხოვრებელი (რომელიც შეესაბამება უნარშეზღუდულთათვის დაწესებულ სტანდარტებს) უნდა გამოინახოს. ზოგადი პრინციპის სახით, უნარშეზღუდული ადამიანებისთვის შენობის გამოყენების ხელმისაწვდომობა ჩადებული უნდა იყოს გარე დიზაინშიც ყველა შენობისთვის, სადაც ეს შესაძლებელია.

¹ აღნიშნული პროცესი უნდა წარმოადგენდეს თემის აზრს და უნდა მოიცავდეს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვის გარანტიებს. დამოუკიდებელ მონიტორებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პროცესის უზრუნველსაყოფად.